ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიის 2010 წლის 20 ივლისის №336/9 გადაწყვეტილების შესაბამისად, დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევისა და ანალიზის ჩატარების მიზნით.

კომისიის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, ავტორიზებული პირებისგან გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია, დოკუმენტაცია და დანახარჯების განაწილების მოდელები მომსახურების სახეების მიხედვით.

საკითხის ზეპირი მოსმენა ჩატარდა 2010 წლის 3 სექტემბერს.

ზეპირი მოსმენის სხდომაზე, კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტმა (ე.ასანიძე) წარმოადგინა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას ჩატარებული ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგები. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ "ფიქსირებული და მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის თაობაზე" კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილებით, ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/ დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე დადგინდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ შემდეგი ავტორიზებული პირები:

კომპანიის დასახელება	**ფარდობითი წილი (%)**
ქ. თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში	
სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"	**60.02%**
შპს "ახალი ქსელები"	**18.11%**
შპს "ახტელი"	**15.50%**
ქ. ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში	
შპს "ახალი ქსელები"	**77.79%**
ქ. რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონაში	
შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"	**75.67%**
ქ. ფოთის ადგილობრივი მომსახურების ზონაში	

სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"	**96.72%**
ქ. ზუგდიდის ადგილობრივი მომსახურების ზონაში	
სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"	**45.26%**
შპს "ივერია ქსელი"	**52.79%**
აჭარის ავტ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე	
შპს "აჭარის ელექტროკავშირი"	**86.23%**
დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე	
სს "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია"	**100.00%**

კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს დაეკისრათ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე და 35-ე მუხლებით განსაზღვრული შემდეგი ვალდებულებები:

ა) ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;

ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;

გ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;

დ) დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება;

ე) სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა ამ ვალდებულებების შესრულების კონკრეტული პირობები.

სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების ფარგლებში დადგინდა ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/დასრულება) მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფი ფიქსირებულ ქსელში - 4 თეთრი/წუთი, დღგ-ს ჩათვლით.

2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილების შესაბამისად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების მიერ გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტებით გამოცხადებული ურთიერთჩართვის ტარიფის ოდენობა შეადგენს 4 თეთრს/წუთზე, დღგ-ს ჩათვლით.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

ა) 2009 წლის 31 ივლისის №359/9 გადაწყვეტილებით, რომლითაც დაკონკრეტდა 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულებები თანალოკაციის ფართთან დაშვების პირობებთან და ტარიფთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, კონკრეტულ გეოგრაფიულ საზღვრებში, საკუთარი საკომუნიკაციო ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან მჭიდროდ დაკავშირებულ თანალოკაციის ფართთან დაშვება განესაზღვრათ არადისკრიმინაციული ტარიფით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარებისა და კონკურენციის დეპარტამენტის 2009 წლის 21 ივლისის №1 დასკვნით განსაზღვრულ მოდელს.

ბ) 2009 წლის 16 ოქტომბრის №506/9 გადაწყვეტილებით, დაკონკრეტდა კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილების მე-14 პუნქტით, ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარის წამოწყება-დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტთან მჭიდროდ დაკავშირებულ სატელეფონო მომსახურების საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებისათვის, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში დაკისრებული სატარიფო რეგულირების და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება და ძალადაკარგულად გამოცხადდდა კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილების მე-14 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი 2009 წლის 01 ნოემბრიდან, შემდეგი ავტორიზებული პირების მიმართ: სს "გაერთიანებული ტელეკომი", შპს "ახალი ქსელები", შპს "ახტელი".

გ) კომისიის 2010 წლის 30 აპრილის №215/19 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილებით სს "გაერთიანებული ტელეკომისთვის" და შპს "აჭარის ელექტროკავშირისთვის" დაკისრებული ვალდებულებების შესრულება 2010 წლის 1 მაისიდან დაეკისრა შპს "სილქნეტს".

კომისიის 2010 წლის 20 ივლისის №336/9 გადაწყვეტილების შესაბამისად წარმოდგენილი მონაცემებით, ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგები შემდეგია:

კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელებით მომსახურებას ეწევიან შემდეგი ავტორიზებული პირები:

ცხრილი 1

1. სს "სილქნეტი"
2. შპს "ახალი ქსელები"
3. შპს "ახტელი"
4. შპს "მაგთიკომი"
5. შპს "კავკასიის ციფრული ქსელები"
6. შპს "კეთილი ნების კომუნიკაციები"
7. შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"
8. შპს "ივერია ქსელები"
9. შპს "რკინიგზის ტელეკომი"
10. შპს "კომუნიკაციების საკონსულტაციო

ჯგუფი”
11. შპს ”ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუფი”
12. შპს ”ალფაკომი”
13. შპს ”ბოლნისის ახალი ქსელები”
14. შპს ”ვემატელი”
15. შპს ”ვოიპნეტი”
16. შპს ”ჯეონეთი”
17. შპს ”ალექს დეველოპმენტი”
18. შპს ”ჯეოცნობარი”
19. შპს ”მეტაკომი”
20. შპს ”კავკასუს ონლაინი”
21. შპს ”სერვისი”
22. შპს ”სელკომი”
23. სს ”გლობალ ერთი”
24. შპს ”მაქსტელი”
25. შპს ”ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს”

კომისიაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიების და გამოყენებული ტექნოლოგიების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

ცხრილი 2

	კომპანიის დასახელება	ფიქსირებული სადენიანი კომუტირებადი ქსელის აბონენტების რაოდენობა	ფიქსირებული სადენიანი VOIP ქსელის აბონენტების რაოდენობა	ფიქსირებული უსადენო CDMA ქსელის აბონენტების რაოდენობა
1	სს ”სილქნეტი”	365 038	1 403	61 776
2	შპს ”ახალი ქსელები”	114 160	0	
3	შპს ”ახტელი”	66 043	0	
4	შპს ”მაგთიკომი”	4 811	0	276 387
5	შპს ”სელკომი”	579	0	
6	სს ”გლობალ ერთი”	777	645	
7	შპს ”რკინიგზის ტელეკომი”	2 837	32	
8	შპს ”კავკასიის ციფრული ქსელები”	105	133	
9	შპს ”კავკასუს ონლაინი”	0	2 878	
10	შპს ”კეთილი ნების კომუნიკაციები”	20	0	
11	შპს ”ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუფი”	260	0	
12	შპს ”ჯეონეთი”	0	1 117	
13	შპს ”სერვისი”	0	800	

14	შპს "ვოიპნეტი"	0	159	
15	შპს "ალფაკომი"	10	0	
16	შპს "ჯეოცნობარი"	1	0	
17	შპს "ალექსდეველოპმენტი"	0	15	
18	შპს "მაქსტელი"	4 737	0	
19	შპს "კომუნიკაციების საკონსულტაციო ჯგუფი"	198	0	
20	შპს "ბოლნისის ახალი ქსელები"	110	0	
21	შპს "ივერია ქსელები"	4 161	0	
22	შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"	23 915	0	
23	შპს "მეტაკომი"	822	0	
24	შპს "ვემატელი"	1 191	0	
25	შპს "ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს"			2 401
	ს უ ლ	**589 775**	**7 182**	**340 564**

აბონენტების საერთო რაოდენობის განაწილება 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შემდეგნაირია:

<u>გრაფიკი 1</u>



ფიქსირებული საკომუნიკაციო სექტორის შემოსავლების განაწილება 2010 წლის 6 თვის მონაცემებით ფიქსირებული სადენიანი კომუტირებადი ქსელს, ფიქსირებული სადენიანი IP ქსელს და ფიქსირებული უსადენო CDMA ქსელს შორის შემდეგნაირია:

<u>გრაფიკი 2</u>



შემოსავლების დინამიკა 2008, 2009 წლების და 2010 წლის 6 თვის მონაცემებით ფიქსირებული სადენიანი და ფიქსირებული უსადენო ქსელების მიხედვით:

<u>გრაფიკი 3</u>



2010 წლის 6 თვის განმავლობაში მიღებული შემოსავლების დინამიკა ფიქსირებული სადენიანი, IP და ფიქსირებული უსადენო ქსელების მიხედვით:

გრაფიკი 4



მონაცემები, ავტორიზებული პირების მიერ საცალო და საბითუმო მომსახურების სახეებზე მიღებული შემოსავლების შესახებ (ლარებში, დღგ-ს გარეშე) 2010 წლის 6 თვის პერიოდისთვის, შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 3

	მომსახურების დასახელება	ფიქსირებული სადენიანი კომუტირებადი ქსელიდან	ფიქსირებული სადენიანი (IP ტექნოლოგია) ქსელიდან	ფიქსირებული CDMA ქსელიდან
№	შემოსავლები სულ	85 782 182	17 974 310	23 485 106
1	ტელეფონის დადგმიდან/ ქსელში ჩართვიდან	1 064 117	20 212	3 009 371
2	სატელეფონო სააბონენტო გადასახადიდან	13 843 009	130 234	2 129 532
3	სხვა მომსახურების სახეებიდან	3 525 004	18 345	290 709
4	დამატებითი მომსახურების სახეებიდან	719 150	15 758	598 593
5	მომხმარებლების ინტერნეტით მომსახურებიდან	21 840 555	16 244 439	4 011 265

6	სატელეფონო ხმოვანი საცალო მომსახურების სახეებიდან	25 549 805	972 303	10 766 898
7	ურთიერთჩართვის მომსახურების სახეებიდან	17 730 345	573 019	2 566 940
8	სხვა ოპერატორის საერთაშორისო კოდით ზარის განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავალი (ურთიერთჩართვის გარდა)	1 510 196	0	111 797

ზეპირი მოსმენის სხდომაზე აღინიშნა, რომ "მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების" დამტკიცების თაობაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს N5 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, კვლევისა და ანალიზის ჩატარებისას უნდა განხორციელდეს საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის და ამ სეგმენტზე საქმიანობის განმახორციელებელი მომსახურების მიმწოდებელი ავტორიზებული პირების ჯგუფის, აგრეთვე ბაზრის შესაბამისი სეგმენტის გეოგრაფიული საზღვრების განსაზღვრა, კერძოდ:

ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება ხორციელდება სადენიანი ფიქსირებული ქსელების (კომუტირებადი და IP ქსელის გამოყენებით) და უსადენო ფიქსირებული ქსელების საშუალებით. მომსახურება ფიქსირებული სადენიანი და უსადენო ქსელის გამოყენებით განსხვავებული ფუნქციონალური მახასიათებლებით გამოირჩევა. კერძოდ:

- ფიქსირებული სადენიანი ქსელით სატელეფონო მომსახურების მიღებისას, მომხმარებელს სადენის საშუალებით ხმოვან სატელეფონო მომსახურებისთან ერთად შესაძლებლობა აქვს მიიღოს ფართოზოლოვანი მომსახურება (მაღალი სიჩქარის ინტერნეტ კავშირი, IP ტელევიზია), ხოლო უსადენო ფიქსირებული ქსელით მომსახურების მიღებისას, მომხმარებლისათვის მონაცემთა გადაცემის სიჩქარე გაცილებით დაბალია და მისი მიიღება შესაძლებელია სპეციალური მოდემის გამოყენებით.
- ფიქსირებული უსადენო ქსელის მომხმარებელს საშუალება აქვს დამატებითი ხარჯების გარეშე ერთი და იგივე სატელეფონო მიმღების საშუალებით შეიცვალოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და მიიღოს სატელეფონო მომსახურება საქართველოს ტერიტორიაზე ან მომსახურე ოპერატორის ქსელის დაფარვის არეალში, ხოლო ფიქირებული სადენიანი მომსახურების მისაღებად საჭიროა არსებობდეს ტექნიკური საშუალება (საკაბელო წყვილი);

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა

და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზარი უნდა დაიყოს შემდეგ სეგმენტებად: 1. ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებად და 2. ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებად.

1. ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევისა და ანალიზის შედეგები:

ფიქსირებული სადენიანი ქსელის აბონენტების საერთო რაოდენობის დინამიკა 2008, 2009 წლების და 2010 წლის მონაცემების მიხედვით შემდეგი სახისაა:

ცხრილი 4

	2008 წლის 31 დეკემბერი	2009 წლის 31 დეკემბერი	2010 წლის 30 ივნისი
აბონენტების რაოდენობა	578 394	590 909	596 957

გრაფიკი 5



აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ფიქსირებულ სადენიან ქსელში, ქალაქების და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ცხრილი 5

ქალაქის, რაიონის დასახელება	აბონენტების რაოდენობა	ფარდობითი წილი %
თბილისი	371 751	62,60%
ქუთაისი	51 248	8,63%
ზესტაფონი	6 631	1,12%
ფოთი	10 575	1,78%
ბოლნისი	1 018	0,17%
ზუგდიდი	4 271	0,72%
რუსთავი	31 373	5,28%
ბათუმი	26 708	4,50%
აბაშა	806	0,14%
ადიგენი	937	0,16%
ამბროლაური	362	0,06%
ასპინძა	541	0,09%
ახალქალაქი	1 564	0,26%
ახალციხე	2 969	0,50%
ახმეტა	1 557	0,26%
ბაღდათი	344	0,06%
ბორჯომი	4 589	0,77%
გარდაბანი	1 902	0,32%
გორი	9 598	1,62%
გურჯაანი	2 451	0,41%
დედოფლისწყარო	624	0,11%
დმანისი	552	0,09%
დუშეთი	1 530	0,26%
ვანი	1 586	0,27%
თეთრიწყარო	346	0,06%
თელავი	5 734	0,97%
თერჯოლა	584	0,10%
თიანეთი	1 114	0,19%
კასპი	2 657	0,45%
ლაგოდეხი	1 263	0,21%
ლანჩხუთი	749	0,13%
ლენტეხი	32	0,01%
მარნეული	2 948	0,50%
მარტვილი	128	0,02%
ნინოწმინდა	1 310	0,22%
ოზურგეთი	3 247	0,55%
საგარეჯო	1 253	0,21%
სამტრედია	3 173	0,53%
საჩხერე	688	0,12%

სენაკი	3 769	0,63%
სიღნაღი	2 585	0,44%
ტყიბული	1 061	0,18%
ქარელი	840	0,14%
ქედა	649	0,11%
ქობულეთი	2 667	0,45%
სტეფანწმინდა	440	0,07%
ყვარელი	1 921	0,32%
შუახევი	375	0,06%
ჩოხატაური	310	0,05%
ჩხოროწყუ	144	0,02%
ცაგერი	147	0,02%
წალკა	148	0,02%
წყალტუბო	2 358	0,40%
ჭიათურა	3 701	0,62%
ხარაგაული	917	0,15%
ხაშური	8 174	1,38%
ხობი	432	0,07%
ხონი	1 068	0,18%
ხულო	1 416	0,24%
სულ	593 835	100,00%

ფიქსირებული სადენიანი ქსელის აბონენტების რაოდენობის განაწილება ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

<u>გრაფიკი 6</u>



ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების გეოგრაფიულ საზღვრებად განისაზღვრა ადგილობრივი მომსახურების ზონები:

ცხრილი 6

გეოგრაფიული სეგმენტის დასახელება
1. თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
2. ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
3. ზესტაფონის ადგილობრივი მომსახურების ზონა
4. ფოთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
5. ბოლნისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
6. ზუგდიდის ადგილობრივი მომსახურების ზონა
7. რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონა
8. ბათუმის ადგილობრივი მომსახურების ზონა
9. აბაშას ადგილობრივი მომსახურების ზონა
10. ადიგენის ადგილობრივი მომსახურების ზონა
11. ამბროლაურის ადგილობრივი მომსახურების ზონა
12. ასპინძის ადგილობრივი მომსახურების ზონა
13. ახალქალაქის ადგილობრივი მომსახურების ზონა
14. ახალციხის ადგილობრივი მომსახურების ზონა
15. ახმეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
16. ბაღდათის ადგილობრივი მომსახურების ზონა
17. ბორჯომის ადგილობრივი მომსახურების ზონა
18. გარდაბანის ადგილობრივი მომსახურების ზონა
19. გორის ადგილობრივი მომსახურების ზონა
20. გურჯაანისადგილობრივი მომსახურების ზონა
21. დედოფლისწყაროს ადგილობრივი მომსახურების ზონა
22. დმანისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
23. დუშეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
24. ვანის ადგილობრივი მომსახურების ზონა
25. თეთრიწყაროს ადგილობრივი მომსახურების ზონა
26. თელავის ადგილობრივი მომსახურების ზონა
27. თერჯოლის ადგილობრივი მომსახურების ზონა
28. თიანეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
29. კასპის ადგილობრივი მომსახურების ზონა
30. ლაგოდეხის ადგილობრივი მომსახურების ზონა
31. ლანჩხუთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
32. ლენტეხის ადგილობრივი მომსახურების ზონა

33. მარნეულის ადგილობრივი მომსახურების ზონა
34. მარტვილის ადგილობრივი მომსახურების ზონა
35. ნინოწმინდის ადგილობრივი მომსახურების ზონა
36. ოზურგეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
37. საგარეჯოს ადგილობრივი მომსახურების ზონა
38. სამტრედიის ადგილობრივი მომსახურების ზონა
39. საჩხერის ადგილობრივი მომსახურების ზონა
40. სენაკის ადგილობრივი მომსახურების ზონა
41. სიღნაღის ადგილობრივი მომსახურების ზონა
42. ტყიბულის ადგილობრივი მომსახურების ზონა
43. ქარელის ადგილობრივი მომსახურების ზონა
44. ქედას ადგილობრივი მომსახურების ზონა
45. ქობულეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
46. ყაზბეგის ადგილობრივი მომსახურების ზონა
47. ყვარელის ადგილობრივი მომსახურების ზონა
48. შუახევის ადგილობრივი მომსახურების ზონა
49. ჩოხატაურის ადგილობრივი მომსახურების ზონა
50. ჩხოროწყუს ადგილობრივი მომსახურების ზონა
51. ცაგერის ადგილობრივი მომსახურების ზონა
52. წალკის ადგილობრივი მომსახურების ზონა
53. წყალტუბოს ადგილობრივი მომსახურების ზონა
54. ჭიათურის ადგილობრივი მომსახურების ზონა
55. ხარაგაულის ადგილობრივი მომსახურების ზონა
56. ხაშურის ადგილობრივი მომსახურების ზონა
57. ხობის ადგილობრივი მომსახურების ზონა
58. ხონის ადგილობრივი მომსახურების ზონა
59. ხულოს ადგილობრივი მომსახურების ზონა

სხდომაზე აღინიშნა, რომ კონკურენციის განსხვავებული პირობებია (გეოგრაფიულ სეგმენტებზე მომსახურებას ახორციელებს ერთზე მეტი ოპერატორი) შემდეგ გეოგრაფიულ სეგმენტებზე: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, ზესტაფონის, ფოთის, ზუგდიდის, ბოლნისის ადგილობრივი მომსახურების ზონებში, ხოლო დანარჩენ გეოგრაფიულ სეგმენტებზე მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელია - სს "სილქნეტი."

1. თბილისი

ცხრილი 7

აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

	კომპანიის დასახელება	აბონენტების რაოდენობა	ფარდობითი წილი %
1	სილქნეტი	211 282	56,83%
2	ახალი ქსელები/ახტელი	140 355	37,76%

3	სხვა დანარჩენი	20 114	5,41%
	ს უ ლ	371 751	100,00%

შენიშვნა: შპს "ახალი ქსელები" არის შპს "ახტელის" 100% წილის მესაკუთრე. შესაბამისად, შპს "ახალი ქსელები" და შპს "ახტელი" "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "ჰ33" ქვეპუნქტის თანახმად (ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია) წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირებს, რის გამოც მათი საბაზრო წილის ოდენობა განხილულია ერთობლიობაში.

გრაფიკი 7



2. ქუთაისი

ცხრილი 8

აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

№	კომპანიის დასახელება	აბონენტების რაოდენობა	ფარდობითი წილი %
1	სილქნეტი	13 378	26,10%
2	ახალი ქსელები	37870	73,90%
	სულ	51 248	100,00%

გრაფიკი 8



3. ზესტაფონი

ცხრილი 9

აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

№	კომპანიის დასახელება	აბონენტების რაოდენობა	ფარდობითი წილი %
1	სილქნეტი	5 325	80,30%
2	ახალი ქსელები	1306	19,70%
	სულ	6 631	100,00%

გრაფიკი 9



4. ფოთი

ცხრილი 10

აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

	კომპანიის დასახელება	აბონენტების რაოდენობა	ფარდობითი წილი %
1	სილქნეტი	9 903	93,65%
2	ახალი ქსელები	672	6,35%
	ს უ ლ	10575	100,00%

გრაფიკი 10



5. ბოლნისი

აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

ცხრილი 11

	კომპანიის დასახელება	აბონენტების რაოდენობა	ფარდობითი წილი %
1	სილქნეტი	908	89,19%
2	ბოლნისის ახალი ქსელები	110	10,81%
	ს უ ლ	1018	100,00%

გრაფიკი 11



6. ზუგდიდი

აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

ცხრილი 12

	კომპანიის დასახელება	აბონენტების რაოდენობა	ფარდობითი წილი %
1	სილქნეტი	3 260	43,93%
2	ივერია ქსელები	4161	56,07%
	ს უ ლ	7421	100,00%

გრაფიკი 12



7. რუსთავი

აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

ცხრილი 13

	კომპანიის დასახელება	აბონენტების რაოდენობა	ფარდობითი წილი %
1	სილქნეტი	6 636	21,15%
2	მეტაკომი	822	2,62%
3	სი-ჯი-სი	23 915	76,23%
	ს უ ლ	31 373	100,00%

გრაფიკი 13



8. ბათუმი

აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით

ცხრილი 14

	კომპანიის დასახელება	აბონენტების რაოდენობა	ფარდობითი წილი %
1	სილქნეტი	25 517	95,54%
2	ვემატელი	1191	4,46%
	ს უ ლ	26 708	100,00%

გრაფიკი 14



9. დანარჩენი გეოგრაფიული სეგმენტები

მე-15 ცხრილში მოცემული მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ სს "სილქნეტის" საბაზრო წილი შეადგენს 100%-ს ცხრილში მოცემულ გეოგრაფიულ სეგმენტებში

ცხრილი 15

№	გეოგრაფიული სეგმენტის დასახელება	აბონენტების რაოდენობა
1	აბაშა	806
2	ადიგენი	937
3	ამბროლაური	362
4	ასპინძა	541
5	ახალქალაქი	1564
6	ახალციხე	2969
7	ახმეტა	1557
8	ბაღდათი	344
9	ბორჯომი	4589
10	გარდაბანი	1902
11	გორი	9598
12	გურჯაანი	2451
13	დედოფლისწყარო	624
14	დმანისი	552
15	დუშეთი	1530
16	ვანი	1586
17	თეთრიწყარო	346
18	თელავი	5734

19	თერჯოლა	584
20	თიანეთი	1 114
21	კასპი	2 657
22	ლაგოდეხი	1 263
23	ლანჩხუთი	749
24	ლენტეხი	32
25	მარნეული	2 948
26	მარტვილი	128
27	ნინოწმინდა	1 310
28	ოზურგეთი	3 247
29	საგარეჯო	1 253
30	სამტრედია	3 173
31	საჩხერე	688
32	სენაკი	3 769
33	სიღნაღი	2 585
34	ტყიბული	1 061
35	ქარელი	840
36	ქედა	649
37	ქობულეთი	2 667
38	სტეფანწმინდა	440
39	ყვარელი	1 921
40	შუახევი	375
41	ჩოხატაური	310
42	ჩხოროწყუ	144
43	ცაგერი	147
44	წალკა	148
45	წყალტუბო	2 358
46	ჭიათურა	3 701
47	ხარაგაული	917
48	ხაშური	8 174
49	ხობი	432
50	ხონი	1 068
51	ხულო	1 416
	ს უ ლ	90 260

აბონენტების რაოდენობის განაწილება თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, ზესტაფონის, ფოთის, ზუგდიდის, ბოლნისის და დანარჩენ გეოგრაფიულ სეგმენტებს შორის შემდეგია:

ცხრილი 16

№	გეოგრაფიული სეგმენტის დასახელება	ფარდობითი წილი % აბონენტების რაოდენობის მიხედვით
1	თბილისი	62,27%
2	ქუთაისი	8,58%
3	ზესტაფონი	1,11%
4	ფოთი	1,77%
5	ბოლნისი	0,17%
6	ზუგდიდი	1,24%
7	რუსთავი	5,26%
8	ბათუმი	4,47%
9	დანარჩენი გეოგრაფიული სეგმენტები	15,12%
	ს უ ლ	100,00%

<u>გრაფიკი 15</u>



2. ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის კვლევისა და ანალიზის შედეგები:

უსადენო ფიქსირებული ქსელით მომსახურებას ეწევა სს "სილქნეტი" (800 მჰც-იან სიხშირულ დიაპაზონში), შპს "მაგთიკომი" (450 მჰც-იან სიხშირულ დიაპაზონში) და შპს "ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს" (1900 მჰც-იან სიხშირულ დიაპაზონში).

სამივე კომპანიის სარგებლობაში არსებული ამოწურვადი სიხშირული რესურსით სარგებლობის ლიცენზიები (F10 - შპს "მაგთიკომი", F11 - სს "სილქნეტი", F3 და F51 - შპს

”ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს”) მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას, მათ აქვთ შესაძლებლობა მომსახურება მიაწოდონ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევისა და ანალიზის მიზნით სამივე კომპანიის მიერ უსადენო ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო მომსახურება განხილული იქნა ერთ სეგმენტად, ხოლო სეგმენტის გეოგრაფიულ ფარგლებად განხილულ იქნა საქართველოს მთელი ტერიტორია.

ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო ქსელის აბონენტების რაოდენობა კომპანიების მიხედვით, 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შემდეგია:

ცხრილი 17

№	კომპანიის დასახელება	აბონენტების რაოდენობა	ფარდობითი წილი %
1	მაგთიკომი	276 387	81,16%
2	ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს	2 401	0,71%
3	სილქნეტი	61 776	18,14%
	სულ	340 564	100,00%

შენიშვნა: კვლევისა და ანალიზის მიმდინარე წარმოებისას ფარდობითი საბაზრო წილის გაანგარიშებისთვის აბონენტების რაოდენობად აღებულია აქტიური აბონენტების რაოდენობა 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შემდეგი განმარტების შესაბამისად: აქტიურია აბონენტი, თუ მან საანგარიშო თვის განმავლობაში ერთხელ მაინც განახორციელა გამავალი სატელეფონო ზარი, გააგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება, ისარგებლა მონაცემთა გადაცემის სერვისით და სხვ. ან/და იხდის ყოველთვიური მომსახურების სააბონენტო გადასახადს.

ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო ქსელის აბონენტების რაოდენობის განაწილება კომპანიების მიხედვით, 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შემდეგია:

გრაფიკი 16



ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო ქსელის აბონენტების რაოდენობის დინამიკა კომპანიების მიხედვით, 2008, 2009 წლების და 2010 წლის 6 თვის მონაცემებით შემდეგია:

ცხრილი 18

კომპანიის დასახელება	2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
სილქნეტი	30 744	57 459	61 776
მაგთიკომი	36 617	181 512	276 387
ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს	3 643	2 701	2 401

გრაფიკი 17



<u>გრაფიკი 18</u>



2010 წლის 6 თვის ჯამური ტრაფიკის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

შენიშვნა: ჯამური ტრაფიკი შედგება:

- *ქსელიდან გამავალი ზარებისაგან;*
- *ქსელში დასრულებული ზარებისაგან;*
- *შიდა ქსელში განხორციელებული ზარებისაგან.*

<u>გრაფიკი 19</u>



კომისია აღნიშნავს, რომ ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი არის ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის ამ სეგმენტზე დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი. ბაზრის შესაბამის სეგმენტზე ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი განისაზღვრება მის მიერ მიღებული შემოსავლების, ბოლო მომხმარებელთა ან აბონენტთა რაოდენობის ან გარკვეულ პერიოდში მიწოდებული მომსახურების ჯამური მოცულობის (ტრაფიკის) წილობრივი მაჩვენებლების, აგრეთვე მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ქსელის შესაბამისი ელემენტების დატვირთული და თავისუფალი სიმძლავრეების ან ფუნქციონალური რესურსების რეზერვების გათვალისწინებით. ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მახასიათებლების გათვალისწინებით კომისია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული პირის მიერ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე დაკავებული წილის გაზომვისა და სათანადო ძირითადი კრიტერიუმის გამოყენების შესახებ.

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ განსაზღვრისთვის ძირითად კრიტერიუმად შერჩეულ იქნა აბონენტების რაოდენობის მიხედვით ავტორიზებული პირის მიერ დაკავებული ფარდობითი საბაზრო წილი.

”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების დადგენის ძირითადი კრიტერიუმის შესაბამისად ავტორიზებული პირი განისაზღვრება მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ ბაზრის შესაბამის სეგმენტზე უკავია საბაზრო წილის არანაკლებ 40 პროცენტისა, ხოლო ამავე მუხლის მე-11 პუნქტის ”ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, ორი ავტორიზებული პირი განიხილება ერთობლივი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, თუ მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მათი ჯამური საბაზრო წილი აღწევს სულ მცირე 60 პროცენტს, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი უნდა იყოს არანაკლებ 25 პროცენტისა;

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები არიან:

ცხრილი 19

გეოგრაფიული სეგმენტის დასახელება, ადგილობრივი მომსახურების ზონების მიხედვით	მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირი	მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის საბაზრო წილი %
1. თბილისი	1.სს "სილქნეტი"	56.83%
	2.შპს "ახალი ქსელები"/ შპს "ახტელი"	37.76%
	1.შპს "ახალი ქსელები"	73.90%
3. ქუთაისი	2.სს "სილქნეტი"	26.10%
5. ზესტაფონი	სს "სილქნეტი"	80.30%
6. ფოთი	სს "სილქნეტი"	93.65%
7. ბოლნისი	სს "სილქნეტი"	89.19%
8. ზუგდიდი	1. შპს "ივერია ქსელი"	56.07%
	2. სს "სილქნეტი"	43.93%
10. რუსთავი	შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბ-მულობის კორპორაცია"	76.23%
11. ბათუმი	სს "სილქნეტი"	95.54%
12. აბაშა	სს "სილქნეტი"	100%
13. ადიგენი	სს "სილქნეტი"	100%
14. ამბროლაური	სს "სილქნეტი"	100%
15. ასპინძა	სს "სილქნეტი"	100%
16. ახალქალაქი	სს "სილქნეტი"	100%
17. ახალციხე	სს "სილქნეტი"	100%
18. ახმეტა	სს "სილქნეტი"	100%
19. ბაღდათი	სს "სილქნეტი"	100%
20. ბორჯომი	სს "სილქნეტი"	100%
21. გარდაბანი	სს "სილქნეტი"	100%

22. გორი	სს "სილქნეტი"	100%
23. გურჯაანი	სს "სილქნეტი"	100%
24. დედოფლისწყარო	სს "სილქნეტი"	100%
25. დმანისი	სს "სილქნეტი"	100%
26. დუშეთი	სს "სილქნეტი"	100%
27. ვანი	სს "სილქნეტი"	100%
28. თეთრიწყარო	სს "სილქნეტი"	100%
29. თელავი	სს "სილქნეტი"	100%
30. თერჯოლა	სს "სილქნეტი"	100%
31. თიანეთი	სს "სილქნეტი"	100%
32. კასპი	სს "სილქნეტი"	100%
33. ლაგოდეხი	სს "სილქნეტი"	100%
34. ლანჩხუთი	სს "სილქნეტი"	100%
35. ლენტეხი	სს "სილქნეტი"	100%
36. მარნეული	სს "სილქნეტი"	100%
37. მარტვილი	სს "სილქნეტი"	100%
38. ნინოწმინდა	სს "სილქნეტი"	100%
39. ოზურგეთი	სს "სილქნეტი"	100%
40. საგარეჯო	სს "სილქნეტი"	100%
41. სამტრედია	სს "სილქნეტი"	100%
42. საჩხერე	სს "სილქნეტი"	100%
43. სენაკი	სს "სილქნეტი"	100%
44. სიღნაღი	სს "სილქნეტი"	100%
45. ტყიბული	სს "სილქნეტი"	100%
46. ქარელი	სს "სილქნეტი"	100%
47. ქედა	სს "სილქნეტი"	100%
48. ქობულეთი	სს "სილქნეტი"	100%
49. ყაზბეგი	სს "სილქნეტი"	100%
50. ყვარელი	სს "სილქნეტი"	100%
51. შუახევი	სს "სილქნეტი"	100%
52. ჩოხატაური	სს "სილქნეტი"	100%
53. ჩხოროწყუ	სს "სილქნეტი"	100%
54. ცაგერი	სს "სილქნეტი"	100%
55. წალკა	სს "სილქნეტი"	100%
56. წყალტუბო	სს "სილქნეტი"	100%
57. ჭიათურა	სს "სილქნეტი"	100%
58. ხარაგაული	სს "სილქნეტი"	100%
59. ხაშური	სს "სილქნეტი"	100%
60. ხობი	სს "სილქნეტი"	100%
61. ხონი	სს "სილქნეტი"	100%
62. ხულო	სს "სილქნეტი"	100%

ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირია შპს "მაგთიკომი";

კომისიას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირებს უნდა დაეკისროთ შემდეგი ვალდებულებები:

ა) ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;

ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;

გ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;

დ) დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება;

ე) სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ შესწავლილ იქნა სს "სილქნეტის", შპს "ახალი ქსელების", შპს "ახტელის", შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის", შპს "ივერია ქსელის" და შპს "მაგთიკომის" მიერ წარმოდგენილი დანახარჯების განაწილების მოდელების შესაბამისობა კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებით დამტკიცებულ „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიურ წესებთან". შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ:

1. **სს "სილქნეტის"** ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების განაწილების თაობაზე წარმოდგენილ გაანგარიშებასთან დაკავშირებით:

მოდელში წარმოდგენილია "გაერთიანებული ტელეკომის", შპს "აჭარის ელექტროკავშირის" და შპს "ვანექსის" 2009 წლის გაერთიანებული ფინანსურ-ეკონომიკური მონაცემები.

ურთიერთჩართვის მომსახურებაზე დანახარჯების მიკუთვნების გამჭირვალობის მიზნით, ხარჯები განაწილებულია კომპანიის ქსელის ელემენტებისა და საქმიანობის სახეების მიხედვით.

დანახარჯთა მუხლები დაჯგუფებულია შემდეგ კატეგორიებად: საოპერაციო დანახარჯები, კაპიტალის ღირებულება, ამორტიზაცია, ზედნადები და საწარმოო მმართველობითი ხარჯები.

თავდაპირველად ხარჯები განაწილებული იქნა კომპანიის ქსელის ყველა ელემენტებზე, ხოლო შემდეგ საქმიანობის სახეებზე (სპილენძის სააბონენტო სახაზო საკაბელო წყვილებთან დაშვება, ფიქსირებულ ძირითად ქსელთან დაშვება, საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვება, ფიქსირებულ უსადენო ძირითად ქსელთან დაშვება, მობილური მომსახურება, ინტერნეტ მომსახურება, ინტერნეტ ტელევიზია, მაგისტრალურ ქსელთან (არხებთან) დაშვება, სხვა მომსახურებები).

ფიქსირებულ ძირითად ქსელზე (საკომუტაციო სადგური) განაწილებული ხარჯებიდან უშუალოდ ურთიერთჩართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯების დადგენის მიზნით, დაზუსტდა ძირითადი ქსელით მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლებში ძირითადი სატელეფონო მომსახურების სახეებიდან და სხვა დამატებითი მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი.

შესაბამისად, ფიქსირებული ძირითადი ქსელის (საკომუტაციო სადგური) მთლიანი ხარჯებიდან გამოყოფილი იქნა უშუალოდ ძირითად სატელეფონო მომსახურებასთან (მათ შორის

ურთიერთჩართვასთან) დაკავშირებული ხარჯები, რომელიც ქსელის მთელი ხარჯების 72,36 პროცენტია, ხოლო სხვა მომსახურებასთნ დაკავშირებული ხარჯები 27,64 პროცენტი.

შემდეგ ეტაპზე, უშუალოდ ხმოვან სატელეფონო მომსახურებაზე განაწილებული ხარჯები ურთიერთჩართვის მომსახურებაზე განაწილდა მთლიან ტრაფიკში საცალო ტრაფიკისა და ქსელში დასრულებული ტრაფიკის ხვედრითი წილის მიხედვით.

დანახარჯების განაწილების საფეხურების შესაბამისად "ავტორიზირებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილების N1 დანართის თანახმად, ფიქსირებულ ძირითად ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურებაზე განაწილებული ხარჯები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: საოპერაციო ხარჯები (შრომის ანაზღაურება, მასალები, ელექტროენერგია, საწვავი და საპოხი მასალები), საერთო ხარჯები, ამორტიზაცია, ზედნადები და საწარმოო მმართველობითი დანახარჯები, კაპიტალის ხარჯი (კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი 16.22 პროცენტია).

ხარჯები, რომლებიც არ განაწილდა საბითუმო მომსახურებებზე, კერძოდ, ხარჯები დაკავშირებული: რეკლამასთან, საზოგადოებასთან ურთიერთობასთან, პერსონალის მომზადებასა და საკონსულტაციო მომსახურებასთან და ა.შ. გადატანილ იქნა მომსახურების სახეებზე მიკუთვნებად დანახარჯებზე.

მოდელის მიხედვით, ფიქსირებულ ქსელში საცალო და ურთიერთჩართვის მომსახურების სახეებზე 2009 წლის განმავლობაში განხორციელებული ტრაფიკი სულ - 1 811 807 067 წუთია, მათ შორის საცალო მომსახურების სეგმენტზე (ქსელში შიდა და ქსელიდან გამავალი ზარები) - 1 402 717 776 წუთი (77,42%) და ურთიერთჩართვის მომსახურების სეგმენტზე (საკუთარ ქსელში შემომავალი ტრაფიკი) – 409 089 291 წუთი (22,58%). ამასთან აღსანიშნავია, რომ ქსელში შიდა ტრაფიკზე, გარდა იმ ზარებისა, რომლებიც აღირიცხება სატელეფონო სადგურების მიერ, დამატებულია შეფასებით დადგენილი ტრაფიკი. ეს არის 54 ქალაქისა და რაიონის იმ სატელეფონო სადგურის (მათ შორის თბილისის 93, 98, 99 ასს) აბონენტებს შორის განხორციელებული შიდა ზარები, რომლებიც ტექნიკურად ვერ უზრუნველყოფენ ამ ზარების აღრიცხვას.

სულ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2009 წლის მონაცემებით ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების (ქსელში შემომავალ) ტრაფიკზე, რომელიც 409 089 291 წუთია, განაწილებულია 5 642 000 ლარის ხარჯი. შესაბამისად, ამ მონაცემების მიხედვით ურთიერთჩართვის მომსახურების ერთ წუთზე დანახარჯებმა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გარეშე - **1,38** თეთრი შეადგინა (5 642 000 ლარი : 409 089 291 წუთი), ხოლო დღგ-ს ჩათვლით - **1,62** თეთრი.

შენიშვნა: კომპანიის მომსახურების სახეებზე ერთობლივი ხარჯები განაწილებულია გარკვეული პირობითი დაშვებებით. საჭიროა, კომპანიამ შეიმუშაოს შიდა საწარმოო დანახარჯების აღრიცხვის გამჭირვალე სისტემა, რომელშიც გათვალისწინებულ უნდა იქნას აგრეთვე ერთობლივი დანახარჯების განაწილების წესები.

2. **შპს "ახალი ქსელების"** ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების განაწილების თაობაზე წარმოდგენილ გაანგარიშებებთან დაკავშირებით:

შპს “ახალმა ქსელებმა“ ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებისას გამოიყენა ”ავტორიზირებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების შესახებ” კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურებაზე ხარჯების მიკუთვნების გამჭირვალობის მიზნით, მოდელში დანახარჯები განცალკევებულად განაწილდა როგორც ქსელის ელემენტების, ასევე მომსახურების სახეების მიხედვით.

კომპანიის 2009 წლის საბუღალტრო მონაცემების საფუძველზე დანახარჯთა მუხლები დაჯგუფდა შემდეგ კატეგორიებად: საოპერაციო დანახარჯები, კაპიტალის ღირებულება, ამორტიზაცია, ზედნადები და საწარმოო მმართველობითი დანახარჯები.

ხარჯების გადანაწილება მოხდა კომპანიის ფიქსირებულ ქსელში საბითუმო მომსახურების სახეებზე, კერძოდ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე, სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებაზე, საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებით მომსახურებაზე, მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურებაზე, ინტერნეტ მომსახურებაზე, სხვა დამატებით მომსახურებაზე. პირდაპირი ხარჯების კონკრეტული მუხლების საბითუმო მომსახურების სახეებზე გადანაწილებისას დეტალურად იქნა განხილული ცალკეული მომსახურების სახეების მიხედვით არსებული ხარჯები. მთლიანი პირდაპირი ხარჯების გადანაწილების შემდეგ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე გაწეულმა პირდაპირმა ხარჯებმა შეადგინა აღნიშნული კატეგორიის მთლიანი ხარჯების 39,9% , სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებაზე - 30,3%, საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებით მომსახურებაზე - 6,6%, მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურებაზე - 4,3%, ტრანზიტულ მომსახურებაზე - 0,6%, ინტერნეტ მომსახურებაზე - 15,8% , სხვა დამატებით მომსახურებაზე - 2,5%.

ზედნადები ხარჯების განაწილებისას ხარჯების ეს კატეგორია ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. კერძოდ იმ კატეგორიის ხარჯები, რომლებიც მიეკუთვნებოდა საბითუმო მომსახურების სახეებს, გადანაწილებულ იქნა ამ მომსახურების სახეებზე განაწილებული პირდაპირი ხარჯების პროპორციულად, ხოლო რაც შეეხება ზედნადები ხარჯების იმ ნაწილს, რომლებსაც უშუალო კავშირი არ აქვთ საბითუმო მომსახურების სახეებთან, სრულად იქნა ამოღებული ამ მომსახურებებთან დაკავშირებული ხარჯებიდან. ასევე, სრულად იქნა ამოღებული საბითუმო მომსახურებებთან დაკავშირებული ხარჯებიდან ისეთი სახის დანახარჯები, როგორიცაა მარკეტინგი, რეკლამა, ბილინგი, და ა.შ. ყველა ასეთი დანახარჯი გადატანილ იქნა საცალო მომსახურებაზე მიკუთვნებად ხარჯებში.

დანახარჯების განცალკევებულად გადანაწილების შემდეგ, ურთიერთჩართვის მომსახურებაზე განაწილებულმა ხარჯებმა ჯამში შეადგინა 8,370,839 ლარი, რომელიც მოიცავს საოპერაციო ხარჯებს, ამორტიზაციას, კაპიტალის ღირებულებას (სადაც კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთია (WACC) 17,96%), ზედნადებ და საწარმოო მმართველობით ხარჯებს.

2009 წლის განმავლობაში კომუტირებადი ტრაფიკის სრული მოცულობა იყო 610,007,918 წუთი. შედეგად, ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის (სატელეფონო ზარის წამოწყება/

დასრულება) ერთი წუთზე დანახარჯმა შეადგინა 0,0138 ლარი დღგ-ს გარეშე, ხოლო 0,0163 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

შპს "ახალი ქსელების" მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებაში გათვალისწინებულია მონაცემები 2010 წლის მოსალოდნელი ტრაფიკისა და დანახარჯების შესახებ. კერძოდ, კომპანიის პროგნოზით 2010 წელს მოსალოდნელია ტრაფიკის საგრძნობი კლება, რის გამოც მისი მოცულობა სავარაუდოდ შეადგენს 488,006,334 წუთს. ამასთან ერთად, მათივე პროგნოზით მოსალოდნელია კომუტირებად ტრაფიკთან დაკავშირებული ხარჯების მატება, რის მიზეზადაც სახელდება ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების მკვეთრი ზრდა. შედეგად, მოსალოდნელმა ხარჯებმა გაანგარიშების მიხედვით შეიძლება შეადგინოს 14,547,109 ლარი. შესაბამისად კომპანიის გათვლებით, 2010 წელს ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის (სატელეფონო ზარის წამოწყება/ დასრულება) ერთი წუთზე დანახარჯი იქნება **0,035** ლარი დღგ-ს ჩათვლით.

შპს "ახალი ქსელების" მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის ექვსი თვის ფაქტიურმა ტრაფიკმა შეადგინა 306,571,119 წუთი. აქედან გამომდინარე, 2010 წელს მოსალოდნელი წლიური ტრაფიკის პროგნოზი არ დასტურდება. გარდა ამისა, კომპანიას კომისიაში არ წარმოუდგენია ექვსი თვის დანახარჯების დამადასტურებელი მასალები, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა ხარჯების მოსალოდნელი ზრდის დადასტურება. შესაბამისად, კომისიამ არ გაიზიარა მათი პროგნოზები და არ მიიღო მხედველობაში ისინი დაუსაბუთებლობის გამო.

3. **შპს "ახტელის"** ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების განაწილების თაობაზე წარმოდგენილ გაანგარიშებებთან დაკავშირებით:

შპს "ახტელმა" ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებისას გამოიყენა "ავტორიზირებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურებაზე ხარჯების მიკუთვნების გამჭირვალობის მიზნით, მოდელში დანახარჯები განცალკევებულად განაწილდა როგორც ქსელის ელემენტების, ასევე მომსახურების სახეების მიხედვით.

კომპანიის 2009 წლის საბუღალტრო მონაცემების საფუძველზე დანახარჯთა მუხლები დაჯგუფდა შემდეგ კატეგორიებად: საოპერაციო დანახარჯები, კაპიტალის ღირებულება, ამორტიზაცია, ზედნადები და საწარმოო მმართველობითი დანახარჯები.

ხარჯების გადანაწილება მოხდა კომპანიის ფიქსირებულ ქსელში საბითუმო მომსახურების სახეებზე; კერძოდ, ურთიერთჩართვის მომსახურებაზე, სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებაზე, საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებით მომსახურებაზე, მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურებაზე, ინტერნეტ მომსახურებაზე, სხვა დამატებით მომსახურებებზე. პირდაპირი ხარჯების კონკრეტული მუხლების საბითუმო მომსახურების სახეებზე გადანაწილებისას, დეტალურად იქნა განხილული ცალკეული მომსახურების სახეების მიხედვით არსებული ხარჯები. მთლიანი პირდაპირი ხარჯების გადანაწილების შემდეგ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე გაწეულმა პირდაპირმა ხარჯებმა

შეადგინა აღნიშნული კატეგორიის მთლიანი ხარჯების 45,8%, სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებაზე - 33,3%, საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებით მომსახურებაზე - 11,7%, მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურებაზე - 2.7%, ინტერნეტ მომსახურებაზე - 4,0% , სხვა დამატებით მომსახურებებზე - 2,5%.

ზედნადები ხარჯების განაწილებისას ხარჯების ეს კატეგორია ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. კერძოდ, იმ კატეგორიის ხარჯები, რომლებიც მიეკუთვნებოდა საბითუმო მომსახურების სახეებს, გადანაწილებული იქნა ამ მომსახურების სახეებზე განაწილებული პირდაპირი ხარჯების პროპორციულად, ხოლო რაც შეეხება ზედნადები ხარჯების იმ ნაწილს, რომლებსაც უშუალო კავშირი არ აქვთ საბითუმო მომსახურების სახეებთან, სრულად იქნა ამოღებული ამ მომსახურებებთან დაკავშირებული ხარჯებიდან. ასევე, სრულად იქნა ამოღებული საბითუმო მომსახურებებთან დაკავშირებული ხარჯებიდან ისეთი სახის დანახარჯები, როგორიცაა მარკეტინგი, რეკლამა, ბილინგი, და ა.შ. ყველა ასეთი დანახარჯი გადატანილ იქნა საცალო მომსახურებაზე მიკუთვნებად ხარჯებში.

დანახარჯების განცალკევებულად გადანაწილების შემდეგ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე განაწილებულმა ხარჯებმა ჯამში შეადგინა 2,395,271 ლარი, რომელიც მოიცავს საოპერაციო ხარჯებს, ამორტიზაციას, კაპიტალის ღირებულებას (სადაც კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთია (WACC) 17,96%), ზედნადებ და საწარმოო მმართველობით ხარჯებს.

2009 წლის განმავლობაში კომუტირებადი ტრაფიკის სრული მოცულობა იყო 371,783,430 წუთი. შედეგად, ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის (სატელეფონო ზარის წამოწყება/ დასრულება) ერთი წუთზე დანახარჯმა შეადგინა 0,006 ლარი დღგ-ს გარეშე, ხოლო **0,007** ლარი დღგ-ს ჩათვლით.

შპს "ახტელის" მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებაში გათვალისწინებულია მონაცემები 2010 წლის მოსალოდნელი ტრაფიკისა და დანახარჯების შესახებ. კერძოდ, კომპანიის პროგნოზით 2010 წელს მოსალოდნელია ტრაფიკის საგრძნობი კლება, რის გამოც მისი მოცულობა სავარაუდოდ შეადგენს 333,927,033 წუთს. ამასთან ერთად, მათივე პროგნოზით მოსალოდნელია კომუტირებად ტრაფიკთან დაკავშირებული ხარჯების მატება, რის მიზეზადაც სახელდება ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების მკვეთრი ზრდა. შედეგად, მოსალოდნელმა ხარჯებმა გაანგარიშების მიხედვით შეიძლება შეადგინოს 4,657,554 ლარი. შესაბამისად კომპანიის გათვლებით, 2010 წელს ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის (სატელეფონო ზარის წამოწყება/ დასრულება) ერთი წუთზე დანახარჯი იქნება **0,016** ლარი დღგ-ს ჩათვლით.

შპს "ახტელის" მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის ექვსი თვის ფაქტიურმა ტრაფიკმა შეადგინა 185,037,073 წუთი. აქედან გამომდინარე, 2010 წელს მოსალოდნელი წლიური ტრაფიკის პროგნოზი შესაძლოა არ დადასტურდეს. გარდა ამისა, კომპანიას კომისიაში არ წარმოუდგენია ექვსი თვის დანახარჯების დამადასტურებელი მასალები, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა ხარჯების მოსალოდნელი ზრდის დადასტურება. შესაბამისად, კომისიამ არ გაიზიარა მათი პროგნოზები და არ მიიღო მხედველობაში ისინი დაუსაბუთებლობის გამო.

4. **შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის"** ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების განაწილების თაობაზე წარმოდგენილ გაანგარიშებასთან დაკავშირებით:

შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციამ" ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებისას გამოიყენა "ავტორიზირებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურებაზე ხარჯების მიკუთვნების გამჭირვალობის მიზნით, მოდელში დანახარჯები განცალკევებულად განაწილდა, როგორც ქსელის ელემენტების, ასევე მომსახურების სახეების მიხედვით.

დანახარჯების განცალკევებულად გადანაწილების შემდეგ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე განაწილებულმა ხარჯებმა ჯამში შეადგინა 1,212,405 ლარი, რომელიც მოიცავს საოპერაციო ხარჯებს, ამორტიზაციას, კაპიტალის ღირებულებას (სადაც კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი (WACC) კომპანიის გაანგარიშებით შეადგენს 18,8 %-ს), ზედნადებ და საწარმოო მმართველობით ხარჯებს.

ხარჯების გადანაწილება მოხდა კომპანიის ფიქსირებულ ქსელში არსებულ საბითუმო მომსახურების სახეებზე, კერძოდ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე, სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებაზე, საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებით მომსახურებაზე, მაგისტრალური საკომუნიკაციო არხებით მომსახურებაზე, ინტერნეტ მომსახურებაზე, სხვა დამატებით მომსახურებებზე. პირდაპირი ხარჯების კონკრეტული მუხლების საბითუმო მომსახურების სახეებზე გადანაწილებისას დეტალურად იქნა განხილული ცალკეული მომსახურების სახეების მიხედვით არსებული ხარჯები.

ზედნადები ხარჯების განაწილებისას ხარჯების ეს კატეგორია ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. კერძოდ, იმ კატეგორიის ხარჯები, რომლებიც მიეკუთვნებოდა საბითუმო მომსახურების სახეებს, გადანაწილებულ იქნა ამ მომსახურების სახეებზე განაწილებული პირდაპირი ხარჯების პროპორციულად, ხოლო რაც შეეხება ზედნადები ხარჯების იმ ნაწილს, რომლებსაც უშუალო კავშირი არ აქვთ საბითუმო მომსახურების სახეებთან, სრულად იქნა ამოღებული ამ მომსახურებებთან დაკავშირებული ხარჯებიდან. ასევე, სრულად იქნა ამოღებული საბითუმო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან ისეთი სახის დანახარჯები, როგორიცაა მარკეტინგი, რეკლამა, ბილინგი, და ა.შ. ყველა ასეთი დანახარჯი გადატანილ იქნა საცალო მომსახურებაზე მიკუთვნებად ხარჯებში.

დანახარჯების განცალკევებულად გადანაწილების შემდეგ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე განაწილებული ხარჯები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

საოპერაციო ხარჯები, ამორტიზაცია, კაპიტალის ღირებულება (კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი (WACC) კომპანიის გაანგარიშებით შეადგენს 18,8 %-ს), ზედნადები და საწარმოო მმართველობითი ხარჯები.

არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" ფიქსირებულ საკომუნიკაციო ქსელში კომუტირებადი ტრაფიკის მომსახურებაზე მიკუთვნებულმა დანახარჯებმა 2009 წელს შეადგინეს 1,212,405 ლარი.

2009 წლის განმავლობაში კომუტირებადი ტრაფიკის სრულმა მოცულობამ შეადგინა 97,642,599 წუთი. შედეგად, ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის (სატელეფონო ზარის წამოწყება/ დასრულება) ერთი წუთზე დანახარჯმა შეადგინა 0,0124 ლარი დღგ-ს გარეშე, ხოლო 0,0147 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებაში გათვალისწინებულია მონაცემები 2010 წლის მოსალოდნელი ტრაფიკისა და დანახარჯების შესახებ. კერძოდ, კომპანიის პროგნოზით 2010 წელს მოსალოდნელია ტრაფიკის საგრძნობი კლება, რის გამოც მისი მოცულობა სავარაუდოდ შეადგენს 78,114,079 წუთს. ამასთან ერთად, მათივე პროგნოზით მოსალოდნელია კომუტირებად ტრაფიკთან დაკავშირებული ხარჯების მატება, რის მიზეზადაც სახელდება ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების მკვეთრი ზრდა. შესაბამისად კომპანიის გათვლებით, 2010 წელს ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის (სატელეფონო ზარის წამოწყება/ დასრულება) ერთი წუთზე დანახარჯი იქნება 0,0211 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციის" მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის ექვსი თვის ფაქტიურმა ტრაფიკმა შეადგინა 48,918,802 წუთი. აქედან გამომდინარე 2010 წელს მოსალოდნელი წლიური ტრაფიკის პროგნოზი არ დასტურდება. გარდა ამისა კომპანიას კომისიაში არ წარმოუდგენია ექვსი თვის დანახარჯების დამადასტურებელი მასალები, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა ხარჯების მოსალოდნელი ზრდის დადასტურება. შესაბამისად, კომისიამ არ გაიზიარა მათი პროგნოზები და არ მიიღო მხედველობაში ისინი დაუსაბუთებლობის გამო.

5. შპს "ივერია ქსელის" ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების განაწილების თაობაზე წარმოდგენილ გაანგარიშებასთან დაკავშირებით:

შპს "ივერია ქსელმა" ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებისას გამოიყენა "ავტორიზირებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურებაზე ხარჯების მიკუთვნების გამჭირვალობის მიზნით, მოდელში დანახარჯები განცალკევებულად განაწილდა როგორც ქსელის ელემენტების, ასევე მომსახურების სახეების მიხედვით.

დანახარჯების განცალკევებულად გადანაწილების შემდეგ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე განაწილებულმა ხარჯებმა ჯამში შეადგინა 116,349 ლარი, რომელიც მოიცავს საოპერაციო ხარჯებს, ამორტიზაციას, კაპიტალის ღირებულებას (სადაც კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი (WACC) კომპანიის გაანგარიშებით შეადგენს 12 %-ს), ზედნადებ და საწარმოო მმართველობით ხარჯებს.

ხარჯების გადანაწილება მოხდა კომპანიის ფიქსირებულ ქსელში არსებულ საბითუმო მომსახურების სახეებზე, კერძოდ, ურთიერთჩართვის მომსახურებაზე, სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებაზე, საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებით მომსახურებაზე. პირდაპირი ხარჯების კონკრეტული მუხლების საბითუმო მომსახურების სახეებზე გადანაწილებისას, დეტალურად იქნა განხილული ცალკეული მომსახურების სახეების

მიხედვით არსებული ხარჯები. მთლიანი პირდაპირი ხარჯების გადანაწილების შემდეგ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე გაწეულმა პირდაპირმა ხარჯებმა შეადგინა აღნიშნული კატეგორიის მთლიანი ხარჯების 39,24%, სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილებით მომსახურებაზე - 51,03%, საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებით მომსახურებაზე - 9,71%.

ზედნადები ხარჯების განაწილებისას, ხარჯების ეს კატეგორია ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. კერძოდ, იმ კატეგორიის ხარჯები, რომლებიც მიეკუთვნებოდა საბითუმო მომსახურების სახეებს, გადანაწილებულ იქნა ამ მომსახურების სახეებზე განაწილებული პირდაპირი ხარჯების პროპორციულად, ხოლო რაც შეეხება ზედნადები ხარჯების იმ ნაწილს, რომლებსაც უშუალო კავშირი არ აქვთ საბითუმო მომსახურების სახეებთან, სრულად იქნა ამოღებული ამ მომსახურებებთან დაკავშირებული ხარჯებიდან. ასევე, სრულად იქნა ამოღებული საბითუმო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯებიდან ისეთი სახის დანახარჯები, როგორიცაა მარკეტინგი, რეკლამა, ბილინგი, და ა.შ. ყველა ასეთი დანახარჯი გადატანილ იქნა საცალო მომსახურებაზე მიკუთვნებად ხარჯებში.

დანახარჯების განცალკევებულად გადანაწილების შემდეგ ურთიერთჩართვის მომსახურებაზე განაწილებული ხარჯები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

საოპერაციო ხარჯები, ამორტიზაცია, კაპიტალის ღირებულება (კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი (WACC) კომპანიის გაანგარიშებით შეადგენს 12 %-ს), ზედნადები და საწარმოო მმართველობითი ხარჯები.

არსებული მონაცემებიდან გამომდინარე შპს "ივერია ქსელის" ფიქსირებულ საკომუნიკაციო ქსელში კომუტირებადი ტრაფიკის მომსახურებაზე მიკუთვნებულმა დანახარჯებმა 2009 წელს შეადგინეს 116,349 ლარი. 2009 წლის განმავლობაში კომუტირებადი ტრაფიკის სრულმა მოცულობამ შეადგინა 7,057,486 წუთი. შედეგად, ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის (სატელეფონო ზარის წამოწყება/ დასრულება) ერთი წუთზე დანახარჯმა შეადგინა 0,0165 ლარი დღგ-ს გარეშე, ხოლო **0,0195 ლარი დღგ-ს ჩათვლით.**

შპს "ივერია ქსელის" მიერ წარმოდგენილ გაანგარიშებაში გათვალისწინებულია მონაცემები 2010 წლის მოსალოდნელი ტრაფიკისა და დანახარჯების შესახებ. კერძოდ, კომპანიის პროგნოზით 2010 წელს მოსალოდნელია ტრაფიკის საგრძნობი კლება, რის გამოც მისი მოცულობა სავარაუდოდ შეადგენს 5,645,989 წუთს. ამასთან ერთად, მათივე პროგნოზით მოსალოდნელია კომუტირებად ტრაფიკთან დაკავშირებული ხარჯების მატება, რის მიზეზადაც სახელდება ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების მკვეთრი ზრდა. შესაბამისად კომპანიის გათვლებით, 2010 წელს ურთიერთჩართვის მომსახურებისათვის (სატელეფონო ზარის წამოწყება/ დასრულება) ერთი წუთზე დანახარჯი იქნება 0,0306 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

შპს "ივერია ქსელის" მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წლის ექვსი თვის ფაქტიურმა ტრაფიკმა შეადგინა 2,983,818 წუთი. აქედან გამომდინარე 2010 წელს მოსალოდნელი წლიური ტრაფიკის პროგნოზი ნაწილობრივ დასტურდება. ამასთან, კომპანიას კომისიაში არ წარმოუდგენია ექვსი თვის დანახარჯების დამადასტურებელი მასალები, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა ხარჯების მოსალოდნელი ზრდის დადასტურება. შესაბამისად, კომისიამ არ გაიზიარა მათი პროგნოზები და არ მიიღო მხედველობაში ისინი დაუსაბუთებლობის გამო.

6. შპს "მაგთიკომის" უსადენო ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების დანახარჯების განაწილების თაობაზე წარმოდგენილ გაანგარიშებასთან დაკავშირებით:

ურთიერთჩართვის მომსახურებაზე დანახარჯების მიკუთვნების გამჭირვალობის მიზნით, ხარჯები განაწილებულია კომპანიის მობილურ, სადენიან ფიქსირებულ და უსადენო ფიქსირებულ ქსელებს შორის. მოდელში საბაზისო მონაცემებად გამოყენებულია კომპანიის 2010 წლის პირველი ნახევრის საფინანსო ეკონომიკური მაჩვენებლები.

დანახარჯთა მუხლები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: საოპერაციო დანახარჯები, კაპიტალის ღირებულება, ამორტიზაცია, ზედნადები და საწარმოო მმართველობითი ხარჯები.

საოპერაციო საერთო დანახარჯებიდან გამოყოფილ იქნა ქსელის მომსახურებასთან დაკავშირებული პირდაპირი საოპერაციო ხარჯები, გაყიდვებთან და მარკეტინგთან დაკავშირებული ხარჯები, საერთო საწარმოო და ზედნადები ხარჯები. გაყიდვებთან და მარკეტინგთან დაკავშირებული ხარჯები ურთიერთჩართვის მომსახურებაზე საერთოდ არ განაწილებულა, ხოლო საერთო საწარმოო და ზედნადები ხარჯებიდან გამოყოფილ იქნა დანახარჯები, რომლებიც ასევე არ განაწილდა ურთიერთჩართვის მომსახურებაზე (საბანკო მომსახურების ხარჯები, უიმედო ვალები, პროფესიული მომსახურების დანახარჯები).

თავდაპირველად, მთელი ხარჯები განაწილებულ იქნა კომპანიის საერთო შემოსავლებში მობილური, ფიქსირებული და უსადენო ფიქსირებული ქსელებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილის პროპორციულად. აღნიშნულის შემდეგ, დადგინდა თითოეულ ქსელში (მობილური, სადენიანი ფიქსირებული, უსადენო ფიქსირებული) ხმოვანი სატელეფონო ზარებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი კონკრეტული ქსელიდან მიღებულ შემოსავლებში, ხოლო შემდეგ ურთიერთჩართვის ტრაფიკის წილი თითოეული ქსელის მიერ კომუტირებულ მთლიან ტრაფიკში.

ზემოაღნიშნული თანმიმდევრობის დაცვით, უსადენო ფიქსირებული ქსელის მიერ მიღებულმა შემოსავლებმა კომპანიის საერთო შემოსავლებში 9,86 პროცენტი შეადგინა, უსადენო ფიქსირებულ ქსელში ხმოვან სატელეფონო მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 54,79 პროცენტი, ხოლო ურთიერთჩართვის ტრაფიკის წილმა უსადენო ფიქსირებულ ქსელში კომუტირებულ ტრაფიკში 27,66 პროცენტი.

შემდეგ ეტაპზე, საერთო გასანაწილებელი ხარჯებიდან ზემოაღნიშნული პროცენტების თანმიმდევრულად გამოყენებით განისაზღვრა უსადენო ფიქსირებულ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურებაზე თითოეული ხარჯის მუხლების ოდენობები. კერძოდ, ქსელის მომსახურების საოპერაციო ხარჯები (შრომის ანაზღაურება, ტექნიკური უზრუნველყოფა, არხების იჯარა და სხვა), ამორტიზაცია, ზედნადები და საწარმოო მმართველობითი დანახარჯები, კაპიტალის ხარჯი (კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილი წლიური განაკვეთი 20,53 პროცენტია).

მოდელის მიხედვით, უსადენო ფიქსირებულ ქსელში 2010 წელს შემომავალი ტრაფიკი (ურთიერთჩართვის მომსახურება) სულ - 158 478 505 წუთია. ურთიერთჩართვის მომსახურების ტრაფიკზე, განაწილებულია 2 506 003 ლარის ხარჯი. შესაბამისად, ამ მონაცემების მიხედვით ურთიერთჩართვის მომსახურების ერთ წუთზე დანახარჯებმა დამატებული ღირებულების

გადასახადის (დღგ) გარეშე - 1,58 თეთრი შეადგინა (2 506 003 ლარი : 158 478 505 წუთი), ხოლო დღგ-ს ჩათვლით - 1,87 თეთრი.

შპს "ახალი ქსელების" და სს "სილქნეტის" მიერ კომისიაში წარმოდგენილია წერილები ურთიერთჩართვის ზღვრული ტარიფის დადგენასთან დაკავშირებით, კერძოდ:

შპს "ახალი ქსელების" მიერ კომისიაში წარმოდგენილია წერილი №605, 20.08.2010წ. რომელშიც აღნიშნულია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში აღინიშნება განვითარების ტემპის კლების ტენდენცია, რაც რთულ ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს კომპანიებს. შპს "ახალი ქსელების" აზრით, გაანგარიშების შედეგად მიღებული სიდიდე ვერ ასახავს მომსახურების რეალურ ტარიფს, შემდეგი მიზეზების გამო: 2009 წელს განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და 2008 წელთან შედარებით შემოსავლები შემცირდა 8%-ით. უსახსრობის გამო ვერ ჩატარდა მომსახურებისთვის სამუშაოები სრული მოცულობით, რაც კომპანიის ფუნქციონირებისთვის შემდგომში აუცილებლად ჩასატარებელია. წარმოდგენილი 2008, 2009 და 2010 წლის ექვსი თვის ტრაფიკების მონაცემების მიმოხილვის საფუძველზე, ადგილობრივი სატელეფონო კავშირით მომსახურების მოცულობის (როგორც გამავალი, ისე შემომავალი ტრაფიკები) ტემპი კლებულობს ყოველწლიურად, რაც შესაბამისად გამოიწვევს ერთეულის თვითღირებულების ზრდას, რადგან დანახარჯების გარკვეული პროცენტული მაჩვენებელი არ არის პროცენტულად დამოკიდებული ტრაფიკის მოცულობაზე. მომავალი პერიოდის პროგნოზით მკვეთრად შემცირდება კომპანიის შემოსავლები, რაც ფინანსური რისკის წინაშე დააყენებს მას და საფრთხეს შეუქმნის მის ეფექტურ საქმიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "ახალი ქსელების" მოსაზრებით, ზღვრული ურთიერთჩართვის ტარიფის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას 2009 წლის შედეგებიდან გამომდინარე მიღებული ტარიფის ზრდის კოეფიციენტი არანაკლებ 15-20%-ისა.შპს "ახალი ქსელები" აგრეთვე ითხოვს, რეალური ტარიფის დადგენის მიზნით, ადგილობრივი კავშირით მომსახურებაზე ზღვრული ტარიფის დადგენის საკითხი გადაიდოს 2011 წლამდე, რაც კომპანიას შესაძლებლობას მისცემს განიხილოს 2010 წლის მეორე ნახევრის მონაცემებიც და დაადგინოს ტარიფები 2010 წლის შედეგებზე დაყრდნობით.

სს "სილქნეტის" მიერ წარმოდგენილ წერილში №1117/01, 31.08.2010წ. კომპანია აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის მარტში სს „სილქნეტს" გადაეცა სს „გაერთიანებული ტელეკომის", შპს „აჭარის ელექტროკავშირის" და შპს „ვანექსის" მატერიალური და არამატერიალური აქტივები, რითაც ეს კომპანიები ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას ახორციელებდნენ. აღნიშნული აქტივების გადაცემამდე, სს „სილქნეტი" არ იყო ავტორიზებული პირი და არ ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას. ამიტომ, რადგან სს „სილქნეტს" საკუთარი ისტორია არ გააჩნდა, ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის სეგმენტებზე მიმდინარე კონკურენციის კვლევისა და ანალიზისთვის ზემოაღნიშნული სამი კომპანიის ბოლო სამი წლის ფაქტიური მონაცემები იქნა წარმოდგენილი. გარდა ამისა, სამი კომპანიის აქტივების გაერთიანებასთან ერთად ამ კომპანიებში არსებული ბიზნეს პროცესების შერწყმას და ოპტიმიზაციას გარკვეული დრო დასჭირდება (სულ მცირე ავტორიზაციას დაქვემდებარებული საქმიანობის დაწყებიდან ერთი კალენდარული წელი) და დანახარჯების რეალური სურათის მიღება მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი. სს "სილქნეტი" აღნიშნავს, რომ სამი კომპანიის ისტორიული მონაცემების

მექანიკური გაერთიანებით არასწორ სურათს მივიღებთ. აქედან გამომდინარე, ამ ინფორმაციაზე დაფუძნებულმა ნებისმიერმა გაანგარიშებამ, თუ ფინანსურმა მოდელმა შეიძლება გამოიწვიოს არასწორი ტარიფების დადგენა ან/და გაუმართლებელი სპეციფიკური ვალდებულებების დაწესება. შესაბამისად, უკვე დაწესებული ზღვრული ტარიფების უახლოეს პერიოდში შემცირება (კომისიის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში) სს „სილქნეტს“ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენებს.

დანახარჯების განაწილების მოდელთან დაკავშირებით წერილში აღნიშნულია, რომ მოდელში მონაცემები გამოყენებულია გარკვეულ დაშვებებზე დაყრდნობით, რადგან, სს „სილქნეტმა“ ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე ოპერირება დაიწყო 2010 წლის 12 მარტიდან. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სს ”სილქნეტი” ითხოვს, რომ უცვლელად დარჩეს უკვე დაწესებული ზღვრული ტარიფები ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფისა და/ან მომსახურებების იმ სახეებზე, რომელსაც სს „სილქნეტი“ 2010 წლის მარტიდან ეწევა, ან/და იმ შემთხვევაში, თუ კომისია მაინც მიიღებს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც შემცირებას დაექვემდებარება დადგენილი ზღვრული ტარიფები, მაშინ, ერთი წლით მოხდეს მისი ამოქმედების გადავადება, რათა კომპანიამ შეძლოს განსაზღვროს ეფექტური საცალო სატარიფო პოლიტიკა, რომელიც არ დააზარალებს არც ბოლო მომხმარებლებს და არც კომპანიას შეუზღუდავს მომავალი განითარების პერსპექტივას.

ზემოაღნიშნული მოსაზრებები კომისიამ არ გაიზიარა შემდეგი გარემოებების გამო:

კომისიის 2008 წლის 4 აპრილის № 189/9 გადაწყვეტილებით დადგენილი იყო ზედა ზღვრული ტარიფი, რაც ნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირები უფლებამოსილი იყვნენ დაედგინათ ზღვრულ ტარიფზე ნაკლები ურთიერთჩართვის ტარიფი საკუთარ ქსელში ზარის წამოწყების/დასრულებისათვის, რომელიც იქნებოდა ხარჯებზე ორიენტირებული, გაანგარიშებული კანონმდებლობის და მათთვის დაკისრებული ვალდებულებების ფარგლებში. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების მიერ არ მომხდარა ურთიერთჩართვის ტარიფის შემცირება.

შპს ”ახალი ქსელები”, შპს ”ახტელი” და სს ”სილქნეტი” წარმოადგენენ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/ დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე, შესაბამისად, მათ დაკისრებული აქვთ ხარჯზე ორიენტირებული ტარიფების დაწესების ვალდებულება. არსებული ურთითეთჩართვის ტარიფი (4 თეთრი) არ იყო ხარჯზე ორიენტირებული და იგი წარმოადგენდა გარდამავალი პერიოდის რებალანსირებულ ტარიფს. კომისიას მიაჩნია, რომ 2011 წლიდან ფიქსირებულ სატელეფონო ქსელში ურთიერთჩართვის ტარიფის რებალანსირების პროცესი უნდა დასრულდეს და დადგინდეს რეალურ ხარჯებზე ორიენტირებული ტარიფები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ აუცილებელია კომისიის მიერ მოხდეს ზღვრული ტარიფის დადგენა ახალი გაანგარიშების საფუძველზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებისთვის.

კომისიის აზრით, ზემოაღნიშნული გაანგარიშებიდან გამომდინარე, ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარის წამოწყება /დასრულება) მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფის ოპტიმალური ოდენობა შეადგენს -2 თეთრს/ წუთზე, დღგ-ს ჩათვლით;

ზეპირი მოსმენის სხდომაზე შპს "მაგთიკომის" წარმომადგენელმა (ა.აბაშიძე) კომისიას შესთავაზა, რომ ზღვრული ტარიფის ოდენობა კომისიის მიერ განისაზღვროს დღგ-ს გარეშე.

კომისია აღნიშნავს, რომ ავტორიზებული პირების მიერ, წარმოდგენილი ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშებები შეიცავს დღგ-ს, კომისიის მიერ კვლევისა და ანალიზის შედეგად გათვალისწინებული ზღვრული ტარიფის ოდენობა 2 თეთრი წარმოადგენს ურთიერთჩართვის ტარიფის ზედა ზღვარს და თითოეულ ოპერატორს საშუალება აქვს გამოაცხადოს საკუთარი ურთიერთჩართვის ტარიფი დღგ-ს გარეშეც, იმ პირობით, რომ საერთო ჯამში მისი ურთიერთჩართვის ტარიფის ოდენობა დღგ-ს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს კომისიის მიერ დადგენილ ზედა ზღვრული ტარიფის ოდენობას.

ზღვრული ტარიფის ამოქმედების ვადად უნდა განისაზღვროს 2011 წლის 1 იანვარი. 2011 წლის 1 იანვრამდე უნდა მოხდეს განახლებული მოწვევის ოფერტების გამოქვეყნება, ხოლო მოწვევის ოფერტები კომისიაში წარმოდგენილ უნდა იქნას 2010 წლის 15 დეკემბრამდე.

კომისიამ, 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილებით, ფიქსირებული ქსელის საცალო ბაზრის სეგმენტი განიხილა როგორც, ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის საბითუმო ბაზრის სეგმენტებთან მჭიდროდ დაკავშირებული სეგმენტი და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებს განუსაზღვრა გარკვეული ვალდებულებები, მათ შორის, ზედა ზღვრული ტარიფი 4 თეთრის ოდენობით. 2009 წლის 16 ოქტომბრის №506/9 გადაწყვეტილებით კი 2009 წლის 1 ნოემბრიდან ზღვრული ტარიფის დაცვის ვალდებულება გააუქმა სს "გაერთიანებული ტელეკომის", შპს "ახალი ქსელების" და შპს "ახტელის" მიმართ. 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილებით, ფიქსირებული ქსელის საცალო ბაზრის სეგმენტზე დაკისრებული ვალდებულებების შინაარსი ძირითადად განპირობებული იყო იმით, რომ არსებული ურთიეთჩართვის ტარიფი (4 თეთრი) არ იყო ხარჯზე ორიენტირებული და იგი წარმოადგენდა გარდამავალი პერიოდისათვის რებალანსირებულ ტარიფს.

კომისიაში წარმოდგენილი გაანგარიშებებიდან გამომდინარე ზღვრული ტარიფის ოდენობა (2 თეთრი) ასახავს რეალურ ხარჯებს და იგი არ წარმოადგენს რებალანსირებულ ტარიფს. შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ უნდა გაუქმდეს კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილებით ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების საცალო ბაზრის სეგმენტებზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების პირობები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავის, "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის, მე-11 მუხლის მეორე და მესამე პუნქტების, მე-20, 21-ე, 22-ე და 29-35-ე მუხლების, კომისიის 2007 წლის 31 აგვისტოს №5 დადგენილებით დამტკიცებული "მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების", კომისიის 2006 წლის 20 აპრილის №5 დადგენილებით დამტკიცებული "ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების" შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზარზე გამოიყოს შემდეგი სეგმენტები:

ა) ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის სეგმენტი;

ბ) ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) საბითუმო ბაზრის სეგმენტი.

2. ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების ჯგუფი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. სს "სილქნეტი"
2. შპს "ახალი ქსელები"
3. შპს "ახტელი"
4. შპს "მაგთიკომი"
5. შპს "კავკასიის ციფრული ქსელები"
6. შპს "კეთილი ნების კომუნიკაციები"
7. შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"
8. შპს "ივერია ქსელები"
9. შპს "რკინიგზის ტელეკომი"
10. შპს "კომუნიკაციების საკონსულტაციო ჯგუფი"
11. შპს "ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუფი"
12. შპს "ალფაკომი"
13. შპს "ბოლნისის ახალი ქსელები"
14. შპს "ვემატელი"
15. შპს "ვოიპნეტი"
16. შპს "ჯეონეთი"
17. შპს "ალექს დეველოპმენტი"
18. შპს "ჯეოცნობარი"
19. შპს "მეტაკომი"
20. შპს "კავკასუს ონლაინი"
21. შპს "სერვისი"
22. შპს "სელკომი"
23. სს "გლობალ ერთი"
24. შპს "მაქსტელი"

3. განისაზღვროს ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტების გეოგრაფიულ საზღვრად შემდეგი მომსახურების ზონები:

გეოგრაფიული სეგმენტები
1. თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
2. ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
3. ზესტაფონის ადგილობრივი მომსახურების ზონა
4. ფოთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
5. ბოლნისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
6. ზუგდიდის ადგილობრივი მომსახურების ზონა
7. რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონა
8. ბათუმის ადგილობრივი მომსახურების ზონა
9. აბაშას ადგილობრივი მომსახურების ზონა
10. ადიგენის ადგილობრივი მომსახურების ზონა
11. ამბროლაურის ადგილობრივი მომსახურების ზონა
12. ასპინძის ადგილობრივი მომსახურების ზონა
13. ახალქალაქის ადგილობრივი მომსახურების ზონა
14. ახალციხის ადგილობრივი მომსახურების ზონა
15. ახმეტის ადგილობრივი მომსახურების ზონა
16. ბაღდათის ადგილობრივი მომსახურების ზონა
17. ბორჯომის ადგილობრივი მომსახურების ზონა
18. გარდაბანის ადგილობრივი მომსახურების ზონა
19. გორის ადგილობრივი მომსახურების ზონა
20. გურჯაანისადგილობრივი მომსახურების ზონა
21. დედოფლისწყაროს ადგილობრივი მომსახურების ზონა
22. დმანისის ადგილობრივი მომსახურების ზონა
23. დუშეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
24. ვანის ადგილობრივი მომსახურების ზონა
25. თეთრიწყაროს ადგილობრივი მომსახურების ზონა
26. თელავის ადგილობრივი მომსახურების ზონა
27. თერჯოლის ადგილობრივი მომსახურების ზონა
28. თიანეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
29. კასპის ადგილობრივი მომსახურების ზონა
30. ლაგოდეხის ადგილობრივი მომსახურების ზონა
31. ლანჩხუთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
32. ლენტეხის ადგილობრივი მომსახურების ზონა
33. მარნეულის ადგილობრივი მომსახურების ზონა
34. მარტვილის ადგილობრივი მომსახურების ზონა
35. ნინოწმინდის ადგილობრივი მომსახურების ზონა

36. ოზურგეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
37. საგარეჯოს ადგილობრივი მომსახურების ზონა
38. სამტრედიის ადგილობრივი მომსახურების ზონა
39. საჩხერის ადგილობრივი მომსახურების ზონა
40. სენაკის ადგილობრივი მომსახურების ზონა
41. სიღნაღის ადგილობრივი მომსახურების ზონა
42. ტყიბულის ადგილობრივი მომსახურების ზონა
43. ქარელის ადგილობრივი მომსახურების ზონა
44. ქედას ადგილობრივი მომსახურების ზონა
45. ქობულეთის ადგილობრივი მომსახურების ზონა
46. ყაზბეგის ადგილობრივი მომსახურების ზონა
47. ყვარელის ადგილობრივი მომსახურების ზონა
48. შუახევის ადგილობრივი მომსახურების ზონა
49. ჩოხატაურის ადგილობრივი მომსახურების ზონა
50. ჩხოროწყუს ადგილობრივი მომსახურების ზონა
51. ცაგერის ადგილობრივი მომსახურების ზონა
52. წალკის ადგილობრივი მომსახურების ზონა
53. წყალტუბოს ადგილობრივი მომსახურების ზონა
54. ჭიათურის ადგილობრივი მომსახურების ზონა
55. ხარაგაულის ადგილობრივი მომსახურების ზონა
56. ხაშურის ადგილობრივი მომსახურების ზონა
57. ხობის ადგილობრივი მომსახურების ზონა
58. ხონის ადგილობრივი მომსახურების ზონა
59. ხულოს ადგილობრივი მომსახურების ზონა

4. ფიქსირებული სადენიანი საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/ დასრულების) საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე დადგინდეს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ, შემდეგი ავტორიზებული პირები:

გეოგრაფიული სეგმენტის დასახელება, ადგილობრივი მომსახურების ზონების მიხედვით	მ*ნ*იშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირი	მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირის საბაზრო წილი %
1. თბილისი	1.სს "სილქნეტი"	56.83%
	2.შპს "ახალი ქსელები"/ შპს "ახტელი"	37.76%
	1.შპს "ახალი ქსელები"	73.90%
3. ქუთაისი	2.სს "სილქნეტი"	26.10%
5. ზესტაფონი	სს "სილქნეტი"	80.30%
6. ფოთი	სს "სილქნეტი"	93.65%

7. ბოლნისი	სს "სილქნეტი"	89.19%
8. ზუგდიდი	1. შპს "ივერია ქსელი"	56.07%
	2. სს "სილქნეტი"	43.93%
10. რუსთავი	შპს "საქართველოს ცენტრალური კავშირგაბ-მულობის კორპორაცია"	76.23%
11. ბათუმი	სს "სილქნეტი"	95.54%
12. აბაშა	სს "სილქნეტი"	100%
13. ადიგენი	სს "სილქნეტი"	100%
14. ამბროლაური	სს "სილქნეტი"	100%
15. ასპინძა	სს "სილქნეტი"	100%
16. ახალქალაქი	სს "სილქნეტი"	100%
17. ახალციხე	სს "სილქნეტი"	100%
18. ახმეტა	სს "სილქნეტი"	100%
19. ბაღდათი	სს "სილქნეტი"	100%
20. ბორჯომი	სს "სილქნეტი"	100%
21. გარდაბანი	სს "სილქნეტი"	100%
22. გორი	სს "სილქნეტი"	100%
23. გურჯაანი	სს "სილქნეტი"	100%
24. დედოფლისწყარო	სს "სილქნეტი"	100%
25. დმანისი	სს "სილქნეტი"	100%
26. დუშეთი	სს "სილქნეტი"	100%
27. ვანი	სს "სილქნეტი"	100%
28. თეთრიწყარო	სს "სილქნეტი"	100%
29. თელავი	სს "სილქნეტი"	100%
30. თერჯოლა	სს "სილქნეტი"	100%
31. თიანეთი	სს "სილქნეტი"	100%
32. კასპი	სს "სილქნეტი"	100%
33. ლაგოდეხი	სს "სილქნეტი"	100%
34. ლანჩხუთი	სს "სილქნეტი"	100%
35. ლენტეხი	სს "სილქნეტი"	100%
36. მარნეული	სს "სილქნეტი"	100%
37. მარტვილი	სს "სილქნეტი"	100%
38. ნინოწმინდა	სს "სილქნეტი"	100%
39. ოზურგეთი	სს "სილქნეტი"	100%
40. საგარეჯო	სს "სილქნეტი"	100%
41. სამტრედია	სს "სილქნეტი"	100%
42. საჩხერე	სს "სილქნეტი"	100%
43. სენაკი	სს "სილქნეტი"	100%
44. სიღნაღი	სს "სილქნეტი"	100%
45. ტყიბული	სს "სილქნეტი"	100%

46. ქარელი	სს "სილქნეტი"	100%
47. ქედა	სს "სილქნეტი"	100%
48. ქობულეთი	სს "სილქნეტი"	100%
49. ყაზბეგი	სს "სილქნეტი"	100%
50. ყვარელი	სს "სილქნეტი"	100%
51. შუახევი	სს "სილქნეტი"	100%
52. ჩოხატაური	სს "სილქნეტი"	100%
53. ჩხოროწყუ	სს "სილქნეტი"	100%
54. ცაგერი	სს "სილქნეტი"	100%
55. წალკა	სს "სილქნეტი"	100%
56. წყალტუბო	სს "სილქნეტი"	100%
57. ჭიათურა	სს "სილქნეტი"	100%
58. ხარაგაული	სს "სილქნეტი"	100%
59. ხაშური	სს "სილქნეტი"	100%
60. ხობი	სს "სილქნეტი"	100%
61. ხონი	სს "სილქნეტი"	100%
62. ხულო	სს "სილქნეტი"	100%

5. ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე საქმიანობის განმახორციელებელი ავტორიზებული პირების ჯგუფი განისაზღვროს შემდეგნაირად:
1. შპს "მაგთიკომი" ;
2. სს "სილქნეტი";
3. შპს "ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს".

6. განისაზღვროს ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის სეგმენტების გეოგრაფიულ საზღვრად საქართველოს ტერიტორია;

7. ფიქსირებული უსადენო საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/ დასრულების) საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე დადგინდეს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონედ შპს "მაგთიკომი";

8. ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირს, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაეკისროს შემდეგი ვალდებულებები:

8.1.ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) 2010 წლის 15 დეკემბრამდე კომისიაში წარმოადგინოს, ხოლო 2011 წლის 1 იანვრამდე საჯაროდ გამოაქვეყნოს საკუთარი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების განახლებული შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა); მოწვევის ოფერტაში ასახული უნდა იქნეს საკუთარი საკომუნიკაციო ძირითადი ქსელის ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების არსებითი პირობები, მათ შორის:

ა.ა) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების მისამართ(ებ)ი, ამ ურთიერთჩართვის წერტილ(ებ)ში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობა;

ა.ბ) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) ტარიფები, განზომილების შესაბამის ერთეულებში - თეთრი/წუთი, წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილი ზღვრული ტარიფების ფარგლებში;

ა.გ) ანგარიშსწორების პირობები;

ა.დ) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის განხორციელების პროცედურები, მათ შორის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდებაზე, მსურველი პირისაგან აქცეპტის ან დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის თაობაზე განაცხადების მიღებისას, მათი განხილვის პირობები და პროცედურები.

ა.ე) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მოწვევის ოფერტაზე მსურველი აქცეპტანტი პირის მიერ აქცეპტის წარმოდგენის თარიღიდან არაუმეტეს 20 კალენდარულ დღეს;

ა.ვ) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო კონკრეტული თანალოკაციის ფართების მისამართი, თავისუფალი თანალოკაციის ფართის ფართობი, ამ ფართზე დაშვების პირობები, მათ შორის არასანქცირებული შეღწევისაგან დაცვის, ამ ფართზე ურთიერთჩართული ოპერატორის მომსახურე ტექნიკური პერსონალის დაშვების, საჭიროების შემთხვევაში ელექტროენერგიით, წყლით, კონდიცირებით უზრუნველყოფის პირობები, შესაბამისი საფასურის მითითებით; თანალოკაციის ფართზე განთავსებული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციისას სათანადო პირობების შენარჩუნების ღონისძიებები და პროცედურები;

ა.ზ) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების (მათ შორის, დამატებითი თანალოკაციის ფართის) გამოყოფის პროცედურები და პირობები, მათ შორის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაცხადის (აქცეპტის) მიღებიდან 20 კალენდარულ დღეს;

ა.თ) ექსტრაორდინალურ, ფორსმაჟორულ, ავარიულ და სარემონტო სამუშაოების შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები;

ა.ი) საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები;

ა.კ) მოწვევის ოფერტის მოქმედების არანაკლებ 6-თვიანი ვადა.

ბ) მოქმედი მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს **30** კალენდარული დღის ვადაში, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა კომისიაში წარმოადგინოს საჯაროდ გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტის არსებით პირობებში, შესაძლო ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე დოკუმენტაცია და მოქმედი მოწვევის ოფერტის ვადის დასრულებამდე **10** კალენდარული დღით ადრე გამოაქვეყნოს ახალი (ან მოდიფიცირებული პირობებით) მოწვევის ოფერტა.

8.2. დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების მსურველი (აქცეპტანტი) ავტორიზებული პირისათვის მიწოდება იმგვარი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფებით, ხარისხით, მიწოდების ვადებით), რომლებიც არანაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე საკუთარი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის**,** აფილირებული ან/და სხვა ურთიერთჩართული ავტორიზებული პირებისათვის;

ბ) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების პირობების (მათ შორის ტექნიკური ხასიათის) თაობაზე ინფორმაციის ყველა მსურველი ავტორიზებული პირისათვის შეუზღუდავად, გამჭვირვალედ და არადისკრიმინაციულად მიწოდება.

8.3. ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვებასა და ურთიერთჩართვასთან დაკავშირებული ქსელის შესაბამისი ელემენტების და მათი ფუნქციონალურ რესურსების (მათ შორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საკმარისი თანალოკაციის ფართების) ფუნქციური და ტექნიკური მახასიათებლები კანონმდებლობით დადგენილი ტექნიკური სტანდარტების დონეზე;

ბ) საკუთარი საკომუნიკაციო ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან მჭიდროდ დაკავშირებულ თანალოკაციის ფართთან დაშვება განესაზღვროს არადისკრიმინაციული ტარიფით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს კომისიის აპარატის სტრატეგიული განვითარებისა და კონკურენციის დეპარტამენტის 2009 წლის 21 ივლისის №1 დასკვნით განსაზღვრული მოდელს.

ბ) საკუთარი ქსელის შესაბამის ელემენტებთან (მათ შორის, სათანადო სიდიდის თავისუფალ თანალოკაციის ფართზე) ტექნიკურ საშუალებებთან, მათ ფუნქციონალურ რესურსებთან და სიმძლავრეებთან მსურველი (აქცეპტანტი) ავტორიზებული პირის დაშვება და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) საბითუმო ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების შეუზღუდავი, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული პირობებით და სათანადო სიმძლავრით მიწოდება;

გ) საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების პირობების შეთავაზების წინადადებაზე (მოწვევის ოფერტაზე) მსურველი ავტორიზებული პირის მხრიდან აქცეპტის მიღების თარიღიდან **20** კალენდარული დღის ვადაში, ყველა სამართლიანი და გონივრული ზომის მიღება, მოწვევის ოფერტის პირობების შესაბამისად შეთანხმება, აქცეპტანტ ავტორიზებულ პირთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება და ორმხივი ხელმოწერიდან **3** სამუშაო დღის ვადაში, გაფორმებული ხელშეკრულების კომისიაში წარმოდგენა;

დ) თუ გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულების პირობები ნაკლებად ხელსაყრელია აქცეპტანტისათვის ან დისკრიმინაციულია მოწვევის ოფერტაში მოცემულ არსებით პირობებთან შედარებით, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირმა **10**

კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს შესწორებებისა და ცვლილებების შეტანა გაფორმებულ ხელშეკრულებაში და შესაბამისობაში მოიყვანოს მისი პირობები მოწვევის ოფერტის პირობებთან. შესწორებული ხელშეკრულების ასლი ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს კომისიაში.

8.4. დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება, შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები, მათ შორის, საკუთარი საკომუნიკაციო ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან კონკრეტული მსურველი პირის დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების სატარიფო შეღვათების სუბსიდირება, სხვა ურთიერთჩართული ოპერატორისათვის მიწოდებული მომსახურების, ან სხვადასხვა მომხმარებელთა ხარჯზე;

ბ) აწარმოოს დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად, ობიექტურად და გამჭვირვალედ აღრიცხვა და განაწილება, მისი საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტების, საოპერაციო საქმიანობისა და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების მიხედვით, კომისიის მიერ 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული "ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებით" განსაზღვრული პირობების დაცვით.

8.5. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება შემდეგი კონკრეტული პირობებით:

ა) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვება და მსურველი (აქცეპტანტი) პირებისათვის ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების მიწოდება განახორციელოს კონკურენციის უზრუნველმყოფი, დანახარჯებზე ორიენტირებული და არადისკრიმინაციული ტარიფით, რომლის ოდენობაც დადგენილ უნდა იქნას, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ზღვრული ტარიფის ფარგლებში;

ბ) განხორციელებული საქმიანობის დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად, ობიექტურად და გამჭვირვალედ აღრიცხვა და განაწილება კომისიის მიერ, 2006 წლის 20 აპრილის N5 დადგენილებით დამტკიცებული "ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებით" განსაზღვრული პირობების დაცვით;

გ) ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე კონკრეტულ პირს, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, დაუდგინდეს სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების მომსახურების სახეებზე ზედა ზღვრული ტარიფი - **2** თეთრის ოდენობით წუთზე, დღგ-ს ჩათვლით.

დ) ზღვრული ტარიფის ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2011 წლის 1 იანვარი.

9. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

10. წინამდებარე გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი საბაზრო ძალიაუფლების მქონე პირებისათვის დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებები განახლებული პირობებით ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან; ამავე თარიღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილებით ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტებზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების პირობები;

ბ) კომისიის 2008 წლის 4 აპრილის №189/9 გადაწყვეტილებით ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებთან მჭიდროდ დაკავშირებულ სატელეფონო მომსახურების საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების პირობები;

11. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.) ერთი თვის ვადაში;

12. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (ე.ასანიძე).

კომისიის თავმჯდომარე	ი. ჩიქოვანი
კომისიის წევრი	ა. სიხარულიძე
კომისიის წევრი	კ. კვიტაიშვილი
კომისიის წევრი	ი. მოსეშვილი